სახალხო გაზეთი

№ 385 ხუთშაბათი, 25 აგვისტო, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 385

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ რომ ყოველ თვის დამდეგიდან გაზეთის გზავნა ესპოვათ ყველას ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი.

დ. ყვირილაში

„სორაპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

„სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვს წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნება.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. მ.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკად

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან, 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 25 აგვისტოს, 1911 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტების მიერ ვ. აბაშიძის, გუნიას, კ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

საქმეები

კომედია 2 მოქმედებად, გადმოკეთ. დ. ერისთავის მიერ.

ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ

კომედია 2 მოქმედებად, გადმოკეთებული რ. ერისთავის მიერ.

კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი პიერეტა, გოგოლაშვილისა, ნებიერიძე, და ბბ. ვ. აბაშიძე, გუნია, მესხი, ჩუბინოვი, ქორიძე, მგალობლიშვილი, საფაროვი, გოგინოვი და მეღვინეთუხუცესი. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.—ადგილების ფასი 5 კ.—50 კ.-დე. ბილეთები უკვე იყიდება კასაში.

რეჟის. ვ. აბაშიძე.

4—1457—4)

გამგე ა. ბადაშვილი.

ვეტცელის თეატრი

დღეს, ხუთშაბათს, 25 აგვისტოს,

სეზონის დასასრულისად

წარმოდგენილი იქნება ქართველ სცენის მოყვარეთაგან

„კინტო" და „ტიმოთე ღლავი"

(1—779—1)

ტელეფ. 795.

ახალი კლუბი

ტელეფ. 795.

ხუთშაბათს, 25 აგვისტოს, 1911 წ.

უკანასკნელი საზაფხულო საღამო

გაიმართება სხვა და სხვა სახალისო სათამაშოები, მუსიკით სიარული და სხვ.

დივერტისმენტი.

მონაწილეობას მიიღებენ თვით ბავშვები.

საღამოს შემდეგ ლოტო. დასაწყ. საღ. 6 ს.

წევრთა, კანდიდატთა შვილები და იმათი შვილებიც, ვისაც სეზონის ბილეთები აქვთ, შესასვლელ ფასს არ გადიხდიან. სტუმრები იხდიან: კაცი 50 კ., ქალები და სტუდენ. 25 კ., ბავშვები 10 კ. ანონსი: პარასკევს 26 აგვისტოს, იაფი ლოტო, შაბათს, 27 აგვისტოს, ჩვეულებრივი საოჯახო საღამო. (1.1432,1)

ტფილისის ქართულ საფილარმონიო საზოგადოების

სამუსიკო სკოლა

(საპიორის ქ. უღენტის სახლი N 18)

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასისა, სიმღერისა (solo) და თეორიისა და ნოტების კითხვისა (solfegio) კლასებში დაიწყება 25 აგვისტოს, დილის 10 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. მასწავლებელთა სია: ფორტეპიანო—ქ. მ. კნ. ამირაჯიბისა, ო. მ. ზერგზივოვ—ოვისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ფოგელისა და თ. ს. შაბურთვისა. სკრიპკა—ა. ნ. ყარაშვილი. ვიოლონჩელი—ე. ნ. კაპელნიცკი, კონტრაბასი—მ. ი. შერშოვი, სიმღერა (solo) ე. მ. ბრიჯი, ელემ. თეორია, ნოტების კითხვა, გარმონია და ენციკლოპედია—ზ. პ. ფალიაშვილი, ხორის კლასი—ნ. პ. სულხანიშვილი. სწავლის ფასი: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 60 მ. წელიწადში, მხოლოდ სიმღერა (solo) 75 მ. სათეორიო კლასებისა 15 მან. წელიწადში. ფულის გადახდა მოხდება ნახევარი წლობით წინ და წინ, ე. ი. სწავლის დაწყებისათანავე, სექტემბერში და იანვარში. ამ ზემო აღნიშნულ დროსვე მოხდება ხმის გასინჯვა იმ პირთა (ქალთა და ვაჟთა), რომელთაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ფასით ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში არსებულ მგალობელთა გუნდში.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. (10.1463.2)

სამტრედიის ვაჭართა საურთიერთო ნდობის საზოგადოების

გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ საზოგადოების საბჭომ თავის სხდომაზე 14 აგვისტოს 1911 წ. დააწესა შემდეგი ნორმა %%-ისა:

1) სახელდახელო (მიმდინარე) ანგარიშზე 3%,

2) შესანახად შეტანილ თანხაზე (Вклады): ა) უვადოზე $3^1/_2$%, ბ) ვადით 6 თვემდე 6%, გ) ერთ წლამდე $6^1/_2$% და დ) წელიწადს ზევით 7%,

3) პირობით სახელდახელო ანგარიშზე (Условный тек. сч.) 4%;

4) გასანაღდებელ ვექსილებზე 10%,

5) გაცემულ სესხზე: ა) სარგებლიან ქაღალდებში 9%, ბ) საქონელში $9^1/_2$,

6) სპეციალურ სახელდახელო ანგარიშზე: ა) სარგებლიანი ქაღალდების უზრუნველყოფით 9%, ბ) საქონლის უზრუნველყოფით $9^1/_2$%. (2.1461.2)

ყველასათვის ხელმისაწვდომი ელექტრო-თეატრი „**კომეტა**" ავლაბარში მოსკოვიდან მიღებულ საუცხოვო სურათების პროგრამის გარდა, საღამოს 9 საათის შემდეგ მხოლოდ მოზრდილთათვის აჩვენებენ საუკეთესო დიდ საყურადღებო დრამას

დედა-კაცი 40 წლისა

2 ნაწილად-1000 მეტრის სიგძეა. დრამას „დედა-კაცი 40 წ." „კომეტას" თეატრში უკანასკნელად უჩვენებენ, სხვა თეატრებშიაც აღარ უჩვენებენ, ამისათვის ვისაც დღევანდლამდე ვერ მოუსწვრია მისი ნახვა, ან მეორედა სურს იხილოს, „კომეტას" თეატრში გამოეშურება. მამაკაცს შეუძლიან უფასოდ შეიყვანოს თეატრში ერთი ქალი ან ორი ქალი ერთის ბილეთით შედის. აჩვენებენ აგრეთვე შემდეგ საყურადღებო სურათებს:

„შურის ძიება საქიოდან"

თავზარდამცემი დრამა მეჯზი ეღნიბა.

ტრაღიკული ღამე (საღ. 9 საათამდე). ტყვეთა შვილი (საღ. 9 საათამდე). ადამიანი—პროთეი, რეისი კიოლნიდან ბინგენამდე. ხუროშეინის დაბნეულობა (საღ. 9 საათამდე). მანია, აკოცე მეომარს, და მთელს წელიწადს ბედნიერი იქნები—განუწყვეტელი ხარხარი.

ანონსი: ამ დღეებში აჩვენებენ ფრიად საყურადღებო დრამას „პატიოსნება" „დედა-კაცი—ქაჯი", და სხვა ახალს რამეს. ესწრაფეთ ნახვას! წარმოდგენები საღ. 7 საათ. იწყება. ამ მოკლე ხანში თეატრში მოსიარულეთათვის უფასო ბიბლიოთეკა მოეწყება. (1—780—1)

ამ წლის 14 აგვისტოდან გამოვა ქ. ქუთაისში

ყოველ-დღიური სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო

ქართული გაზეთი

„მნათობი".

გაზეთის ფასი: წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ. 3 თვით ქუთაისში 2 მ. 20 კ. 3 თვით ქუთაისს გარედ 2 მ. 50 კ. თვიურად ქუთაისში 80 კ., ქუთ. გარედ 90 კ. თითო ნომერი ყველგან ერთ შაურად. საზღვარ-გარედ წლიურად 14 მ განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა 3 მან.

რედაქტორ-გამომცემელი რაჟდენ ვაჩრიძე.

რედაქციის ადრესი: Кутаисъ, Балахванская ул., д. N 12. (10—1440—8

---

10 ენკენისთვემდე მიიღება ხელის მოწერა

არჩილ ჯორჯაძის

მე-3 წიგნზე

„საზრეში"

ხელის მოწერით ეღირება 40 კ. აგენტებთან; ფოსტის გასაგზავნ ხარჯად 10 კ.

შინაარსი: წინასიტყვაობა. ხელოვნება: 1. ურწმუნო მწერლებს, 2. სიტყვაკაზმული მწერლობა, 3. პოეზიის სამფლობელოში (გრ. რობაქიძის ლექციის გამო), 4. ნავთსაყუდლის ძებნაში, 5. ქართულ მუსიკის შესახებ, 6. ცოტა რამ ხელოვნების შესახებ. რელიგია ფილოსოფია: 1. ინდოეთის სიბრძნე (ბრაჰმანიზმ-ბუდიზმი), 2. ლევ ტოლსტოი (სიცოცხლის ტრაგედია. მოგონებები), 3. ქალის სხვაა, 4. წერი-წერილია.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში: წ. კ. ს. მაღაზიასა და „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში; ქუთაისში: „კოლხიდის" რედაქციაში; ბათომში: ირ. ავალიშვილთან; სოხუმში: ნ. ჯანაშიასთან; სურამში: ალ. ზღვაგასთან; გორში: სოლ. კიკნაძესთან; თელავში: ი. პაატაშვილთან. (0—5)

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი

„კოლხიდა"

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.

ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთ შაურად.

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდის, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე

ამა წლის 19 ივნისიდან ქუთაისში გამოდის ყოველ-კვირეული სახალხო ჟურნალ

კოოპერაცია

შემდეგი პროგრამით: 1) მოწინავე წერილები საკოოპერაციო და ეკონომ. საკითხებზე; 2) წერილები მუნიციპალურ საქმეებზე; 3) კორესპონდენციები (კოოპერატიულ ცხოვრების მიმოხილვა (სურათებით), 4) კოოპერაციის მოღვაწეთა ბიოგრაფია (სურათებით); 5) ბიბლიოგრაფია, და 6) მოკლე მიმოხილვა მიმდინარე საზოგადო-ეკონომიურ ცხოვრებისა. ჟურნალი ღირს წლიურად 2 მ. 45 კ. ნახევარი წლით—1 მ. 50 კ. ცალკე ნომერი ყველგან 7 კ. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით 30 კ. უკანასკნელ გვერდზე 20 კ. რედაქციის ადრესი: Кутаисъ, Редакція Журнала „Кооперація", Тифл. ул. № 7. რედაქტორი ასხან გაბილაია (3—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეს.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

დადიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ საათ., **დროებით წასულია.**

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—$1^1/_2$ ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^1/_2$—1 ს.

ორბელიანოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოშთარიევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუდადოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. **დროებით წასულია.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. **დროებით წასულია.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული, ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (წ.—1089—544

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და ღიდუბის მომავალი ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—124)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდა ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. მოსპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოშთარიევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი შეთანხმებით.

წამლობა „606"-ით.

(წო.—1090—142)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს [illegible] ტელეფონი N 483.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

ა. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

წუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელთვოზხროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა. ოთხშ. პარასკ., კვირა 11—12 საათ.

უბლამჭაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—85)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა

ექიმი გ. მ. ღოღობერიძე

შინაგანი და ქალთა სნეულებანი.

იღებს ავადმყოფებს საღამოობით, ყოველ-დღე 5—7 საათამდე.

კირპიჩნი შესახვევი, № 16, სახ. სვიმონოვისა. (თ—1426—16)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

ხამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

დოქტორი მედიცინის

ი. გ. ჩუდნოვსკი

კიროჩნი ქ., სახ. № 18, ტელეფონი 1090. ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე დილის 9—11 ს. საღამოს 5—8 ს.-მდე. (20—1420—12)

ექიმი

ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-ჭანტურიასი ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—5)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—91

ექიმი

მედიცინისა

ვლ. გრ. გოგოვსკი

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდა და ავადმყოფების მიღება განაახლა. შინაგან სნეულებათა წამლობა მთაგონებით. ავადმყოფებს ღებულობს ყოველ-დღე, კვირა-უქმის გარდა საღამოს 6—8 საათამდე კრილოვის ქუჩა N 7. (1—1454—3)

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

ექიმი ი. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. 0—122)



(25—1456—4)

გამოვიდა და იყიდება

ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. წიგნის მაღაზიაში, სოსიკო მერკვილაძესთან, საქართველოს ყველა ქალაქებისა და დაბების წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე სადგურებზედაც

ალ. თუთაევის

ახალი თხზულება:

„მეორე კაენი",

დრამა სამ მოქმ.

და ეპილოგი. ფასი 30 კ. იქვე იყიდება ამავე ავტორის შემდეგი პიესები:

„ცოლი ვიტირო, თუ ფული", ფასი 15 კაპ.

„უმარილის ბრალია", ფასი 10 კ.

„ბედმა მილალატა", ფასი 20 კ.

„უწინ არშიყი", და გადმოკეთ.

„სოფიო" 20 კ. ყველა პიესები ნებადართულია წარმოსადგენად. (10.1397.6)

ახალი წიგნი

გრ. ხერხეულიძის

„პირველი სხივი"

(ლექსები).

იყიდება წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში.

ფასი 10 კ. (6—777—4)

ექიმი ზ. ნ. მაგაკიანი დაბრუნდა უცხოეთიდან. შინაგანი და ბავშვთა ავადმყ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. 36, ტელეფონი 388. 25—1442—11

ვასწავლი
ქართულ სიმღერა-გალობას
გუნდისთვის
შიდებ 1 მარიამობისთვიდან 15 ენკენისთვემდის. ავჭალის მოედანი № 11. სახლი ზემოდანთვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით 4—6 საათამდის.
(10—1424—7)

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ნამესტნიკის კანცელიარიამ ტფილისის გუბერნატორს** მოსთხოვა ცნობები გუბერნიაში ყველა არსებულ საავადმყოფოების შესახებ და აგრეთვე მათ შესახებაც, რომლის გახსნაც განზრახულია ამ მოკლე ხანში. გუბერნატორმა აგრეთვე დაწვრილებით ცნობა უნდა წარუდგინოს თუ რა ჯდება ყოველი მათგანი.

◆ **ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა** ტფილისის გუბერნატორს სოფ. გომის. (ახალ ქალაქის მაზრა) მცხოვრებლებმა დადგენილება წარუდგინა ამის შესახებ, რომ გომში ერთკლასიანი პირველ დაწყებითი სკოლა გაიხსნას და დადგენილების დამტკიცება სთხოვა.

◆ **ტფილისის გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი** გუშინწინ სადგურ ლარსისაკენ გაემგზავრა კავკასიის სამხედრო გზის დასათვალიერებლად.

◆ დასასვენებლად წასული ტფილისის პოლიცმეისტერის თანაშემწე **ბ. სტროევი** ტფილისს დაბრუნდა და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

◆ **ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა** ქალაქის გამგეობის მდივანს ი. ლ. თამამშევს დაავალა საბჭ. [illegible]

◆ **საქალაქო არჩევნები 20 ნოემბრისათვის არის დანიშნული.**

◆ **კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტმა** თავის სტიპენდიების სამ განთავისუფლებულ ვაკანსიაზე ორი კაცი ვიშნევოლოცკის საინსტრუქტორო სკოლაში გაგზავნა და ერთი—სოფ. სისნოვის ოლქში.

◆ **ქალაქის მოურავთან** გუშინწინ ინგლის-რუსეთის საფინანსო კავშირის წარმომადგენელი იყო და წინადადება მისცა ქალაქს 15 მილიონიანი მან. სესხად მისცეს, რათა ქალაქმა შეიძლოს ასეთ საქმეებს დასრულება, როგორიცაა წალკის წყალსადენის გამოყვანა, ბალნეოლოგიურ სადგურის აგება, სიბინძურის არხის გაყვანა მადათოვის კუნძულის მოწესრიგება და სხვა. ხატისოვმა უპასუხა, ეს საკითხი ეხლა ნაადრევია, საბჭოს ახალი შემადგენლობა კი ამაზე უსათუოდ იქონიებს მსჯელობას.

◆ **ტფილისის მაძებარ პოლიციის აგენტებმა** 22 აგვისტოს ავლაბარში ორი უცნობი შეიპყრო, რომელნიც დუშეთის მაზრაში მომქმედ ყაჩაღთა ბრბოს წევრები აღმოჩნდნენ. ერთს მათგანს „მაუზერის" გატენილი რევოლვერი და 60 პატრონა აღმოაჩნდა. პირველი ბორჩალოს მაზრის მცხოვრები ივანე კუპოტაძე აღმოჩნდა, რომელიც 1908 წელს ჩელიაბინსკში 6 წლით გადასახლებული ყოფილა და იქიდან გაქცეული. მეორე კი—რაჭის მაზრის მცხოვრები ანტონ სვანიძე.

◆ **ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების** ვიცე-პრეზიდენტმა ა. ი. ხატისოვმა საუფლისწულო მამულების სამმართველოსაგან, რკინის გზის შესახებ აღძრულ შუამდგომლობაზე, პასუხი მიიღო, რომ არაზინდას მთაზე სანატორიუმისაკენ რკინის გზის გაყვანის საწინააღმდეგო არაფერი გვაქო. ამიტომ ხატისოვმა ინჟ. მარკაროვს მიმართა, ეხლავე შეუდგეს რკინის გზის გაყვანას, რათა სანატორიუმის შენობის საძირკვლის ჩაყრის დროს, ე. ი. ოქტომბრის შუა რიცხვებში უკვე მზად იყოს.

◆ **ქალაქის მოურავმა ტფილისის გუბერნატორს** წარუდგინა ოქმები, რომელიც სასანიტარო ზედამხედველებმა მეფურნეებს სავალდებულო წესების დარღვევისათვის შეუდგინეს მე 9 უბნის მეფურნეებს: ყუბლაშვილს, სადანელიძეს და ტოროშელიძეს.

◆ ამას წინად ადგილობრივ გაზეთებში ცნობა იყო, რომ **ბელგიის უსახელო საზოგადოების მთავარმა სამმართველომ** უკანასკნელ ხანებში ტფილისის ტრამვაი დირექციასა და ქალაქის გამგეობის შორის განხეთქილების გამოსაკვლევად თავისი რწმუნებული გამოგზავნაო. რწმუნებული ვითომც უნდა მოჰლაპარაკებოდა ქალაქის გამგეობას ჯარიმის თაობაზე. ეს ცნობა მართალი არ გამოდგა. მთავარ სამმართველოს კატეგორიულად გადაუწყვეტია: რადგანაც ქალაქის გამგეობის უკანასკნელი მოქმედება საზოგადოების მიმართ უკანონო იყო, განასაჩივროს იგი და თუ პირველ ინსტანციაში სასურველად არ დამთავრდება, მაშინ უმაღლეს ინსტანციაში გადაიტანს.

◆ **პურის ნიხრი რომელიც ქალაქის გამგეობამ 19 აგვისტოს შეიმუშავა** ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა. ამ ნიხრით მეორე ხარისხის თონის პურიც 4 კაპიკი ღირს, მესამესი კი—3½ კაპ. ამასთან გუბერნატორმა პოლიციელთ უბრძანა ფხიზლად ადევნონ თვალ-ყური რათა მეპურები ყველა ხარისხის პურს აცხობდნენ.

◆ **ილია ჭავჭავაძის ძეგლის** კურთხევა დანიშნულ დროს არ შესდგება, რადგანაც საძეგლო ბაქანის დამთავრება დაგვიანდა. ეს იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ოდესიდან გამოწერილი მარმარილო, გემების მოსამსახურეთ გაფიცვების გამო

◆ **განთავისუფლება და გადასახლება.** წელს, 27 აპრილს, გაზ. „ჩვენი საქმის" რედაქციის ჩხრეკის გამო დაპატიმრებულნი ნაფიცი ვექილი ნიკო ელიავა და რუბენ ყიფიანი (პოეტი ლეჩხუმელი) მეტეხის ციხიდან თავდებობით გაანთავისუფლეს. ორივე ვალდებულია 15 დღის განმავლობაში კავკასიის საზღვრები დასტოვონ. მაშინდელი სხვა დაპატიმრებულნი პირნი ხუთ-ხუთის წლით გაიგზავნენ რუსეთის სხვა და სხვა ადგილას. მეტეხში დარჩა სტუდენტი გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელიც ჯერ მოიხდის სასამართლოს მიერ ერთი წლით დაპატიმრებას (რედაქტორობის გამო მისჯილს) მერმე ისიც ხუთის წლით გაიგზავნება.

◆ **საზოგადო ბიბლიოთეკაში** დღეს, 25 აგვისტოს, ბიბლიოთეკის ახალ შენობის აგება იჯარით გაიცემა. გადადებულია 40,000 მანეთი.

◆ **ტფილისის გუბერნატორმა კონსტანტინე ნიკოლოზის ძე დავიდოვი**, ტრამვაის ვაგონში ქალისადმი ურცხვ წინადადების მიცემისათვის 50 მანეთით დააჯარიმა; თუ ჯარიმას არ გადაიხდის ერთის თვით დაპატიმრებენ.

◆ **ტფილისის გუბერნატორმა თავ. შალვა გიორგის ძე ვახვახიშვილი** პიროგოვის ქუჩაზე უცნობ ქალისადმი ურცხვი წინადადებით შეურაცყოფისთვის 25 მანეთით დააჯარიმა. თუ ჯარიმას არ გადაიხდის 10 დღით დაპატიმრებენ.

◆ 1—15 აგვისტომდე ქალაქის სასარგებლოდ შეუკრეფიათ უძრავ ქონებათა შესაფასებელი გადასახადი—26921 მან. 61 კაპ. და ცხენებისა—58 მან. 16 კაპ. დარჩა შესაკრები: შესაფასებელი გადასახადი—5832 მან. 52 კ. და ცხენებისა—26 მან. 87 კაპ.

◆ **შუა ბაზარში** თითქმის ნახევარი ვაჭრობა ტფილისის სომხეთა სემინარიის მამულში გადაიტანეს სადაც კვირაობით გაჩაღებული ვაჭრობაა ხოლმე. რადგანაც ეს ადგილი ანტისანიტარულ მდგომარეობაში იყო, პოლიციისა და სანიტარულ კომისიის განკარგულებით მოედანი გაასუფთავეს და ფისით დაიგეს და ახალი ბაქნები გააშენეს.

◆ ბოლო ხანებში ტფილისში ინტელიგენტთა შორის **ჩხრეკა და პატიმრება ძლიერ გახშირდა.**

საზოგადოებანი და კრებანი

◆ **ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ** ილია ძეგლის სასარგებლოდ მიიღო: თელავის განყოფილებისაგან 50 მანეთი და ბაქოს განყოფილებისაგან — 100 მანეთი.

◆ **ქ. შ. წ. რ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ ქ. სიღნაღიდან** 30 წევრის საწევრო გადასახადი 90 თუმანი მიიღო სიღნაღში წ. კ. გ. ს. განყოფილების დასაარსებლად.

◆ **ქართველ ამომრჩეველთა ცენტრალურ ბიუროს მეთაურობით** ტფილისის პირველ რაიონის ქართველ ამომრჩეველთა კრება შესდგება დღეს, საღამოს 8 საათზე, დეპუტატთა საკრებულოს სადგომში (ბელინსკის ქუჩა სახ., № 3) **მეხუთე რაიონის** ქართველ ამომრჩეველთა კრება დანიშნულია პარასკევს, 26 აგვისტოსათვის, საღამოს 8 საათზე, ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში.

მეორე რაიონის ამომრჩეველთა კრება კი—კვირას, 28 აგვისტოს, სამეურნეო ბანკში (სარაჯიშვილის სახ.)

◆ **ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება** დანიშნულია დღეს, 25 აგვისტოს, საღამოს რვა საათზე კავკასიის სას. სამ. საზ. დარბაზში (ალექსანდრეს ბაღი). განსახილველია მორიგი საქმეები.

◆ **„სამოქალაქო საქმეთა შესწავლის საზოგადოებამ"** მთავრობას დასამტკიცებლად წესდება წარუ[illegible] არიან: ი. ა. ჯაბარი, გ. დ. ღურული, ს. თ. ქრელაშვილი, ვ. ი. რცხილაძე და სხვანი.

სასამართლო

◆ **გუშინ საოლქო სასამართლოში** ხალხის დაუსწრებლად გაირჩა საქმე მიხეილ რომანენკოსი (18 წლისა), რომელსაც ჰბრალდებოდა მოკვლის განზრახვით **ავეტის იაკობის ძე ტერ აკოპოვის** დანით დაჭრა. სასამართლომ რომანენკო დამნაშავედ იცნო, რომ გაბრაზების დროს დაჭრა აკოპოვი და ორი თვის ციხე მიუსაჯა. ამასთანავე დაადგინა, ორივე ე. ი. რომანენკოც და ტერ-აკოპოვიც კანონების 991 მუხლის ძალით სამართალში მისცეს.

[illegible]

◆ **სტამბოლიდან** ტფილისს ცნობილი მსახიობი ქალი **სირანუიში** ჩამოვიდა, რომელიც წელს სომხურმა დრამატიულმა საზოგადოებამ სეზონში მონაწილეობისათვის მოიწვია.

ქუთაისი

◆ **ქალაქის გამგეობამ** საჯარო ვაჭრობით გასცა საღორიის ტყის მოჭრა, წელს უნდა მოიჭრას 15 დესეტინა. კუბიკური საჟენის მოჭრასა და დადგმაში (შეშა დახერხილი იქნება) ქალაქი იხდის 4 მ. 40 კაპ., იმერულ საჟენში კი 95 კაპ.

◆ **ქალაქის გამგეობას** სასურველათ უცვნია შეიძინოს ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოების შენობა (პუშკინისა და ბალახვანის ქუჩების კუთხეში), სადაც ამ ჟამად ქალაქის გამგეობაა მოთავსებული, მასზე მიკრულ შენობებით. ბანკი მთელ მამულს 140,000 მანეთად აფასებს.

◆ როგორც გავიგეთ, **საზოგადო საკრებულო** ველარ ეტევა ქალაქის შენობაში, რადგანაც შენობის ნაწილი ქალაქის გამგეობამ ჩამოართვა მას წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მოსათავსებლად; ამიტომ საკრებულოს გამგეობის ზოგიერთ წევრს წინადადება შეუტანია, გააფართოვებინონ საურთიერთო ნდობის საზოგადოების შენობა (რომელშიაც ამ ჟამად ქალაქის გამგეობაა მოთავსებული) და საკრებულოს სადგომად დაიქირაონ.

◆ ქუთაისის **წინამძღოლთა არჩევა** დანიშნულია 14 ენკენისთვეს. („კოლხიდა").

ბათომი

◆ 19 წლის ყმაწვილი **შალვა ლუკას ძე რუხაძე**, რომელსაც მოუნდომებია გადასწრება ბათუმში მომავალ № 13 მატარებლისათვის. ვერ მოუსწრია და მოჰყოლია მატარებელს ქვეშ, რომელსაც მოუწყვეტია მასთვის მარჯვენა ფეხი მუხლის ზემოდ ის წაუყვანიათ ქალაქის საავადმყოფოში, სადაც იმ საღამოსვე, 21 აგვისტოს, 7 საათზე გარდაცვლილა.

◆ დაბა ხონის მცხოვრებმა **გრ. ქათამაძემ**, რომელსაც თურმე ნება არ ჰქონია იარაღის ტარებისა, უნდა გადაიხადოს 100 მ. ან 20 დღით ჩაჯდეს საპატიმროში. („ბათ. გაზეთ").

ბაქო

◆ **ბაქოს ქალაქის მოურავი ბ. რაევსკი** ამ დღეებში დაბრუნდება და თანამდებობის აღსრულებას შეუდგება.

◆ ამ დღეებში **თათრულს** ენაზე გამოვა „ბაქიუ ჰეია" (ბაქოს ჟურნალი).

ხონი

◆ **ილია ნაკაშიძის ქართული ლექციები.** კვირას 28 აგვისტოს, და ორშაბათს, 29 აგვისტოს, **დ. ხონში** (ადგილობრივ თეატრში) ილია ნაკაშიძე წაიკითხავს ქართულად ლექციებს: 1) **„ბედნიერების ძიება"** და 2) **ეგნატე ნინოშვილის** (ინგოროყვას) **ნაწერები.**

სოხუმი

◆ 30 აგვისტოს, ადგილობრივ **ქართულ სკოლის სასარგებლოდ** მომღერლის ვ. სარაჯიშვილის მონაწილეობით კონცერტი გაიმართება.

პროვინცია

◆ **აბაშა** (გურია). პარასკევს, 19 მარიამობისთვეს, სოფელ აბაშაში მთავრობის ნებართვით გაიმართა უფასო „ლიტერატურული საღამო", შემდეგის შინაარსით:

I სტუდენტმა ალ. კანდელაკმა წაიკითხა ლექცია: „ბატონ-ყმობა და მისი ისტორიული წარსული" გლეხთა განთავისუფლების 50 წლის იუბილეის გამო.

II ადგილობრივ სკოლის მოსწავლე ქალ-ვაჟთ წაიკითხეს ქართული ლექსები.

III სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს ერთ-მოქმედებიანი კომედია ვ. გუნიასი „ხოლვერობა". საღამო ქართულ სიმღერებით დასრულდა. საღამო მეტად შინაარსიანი იყო. თუმცა ამინდმა ხელი შეუშალა, მაგრამ ხალხი მაინც ბლომად დაესწრო და სრულიად კმაყოფილიც დარჩა.

ორიოდე სიტყვა სტიპენდიების გამო

წ. კ. საზოგ. გამგეობამ დღეს უნდა გაანაწილოს თავისუფალი სტიპენდიები უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლეთა შორის და ეს საბაბს გვაძლევს ერთხელ კიდევ გაკვრით შევეხოთ საზოგადოდ სტიპენდიების მნიშვნელობას.

ვინც რომ საქმეში ჩახედულია, არ შეიძლება არ დაგვეთანხმოს, რომ ჩვენში გვარიანი საგრძნობელი საზოგადო თანხა იხარჯება სტიპენდიებზე (ს.-აზნაურო, შავი ქვის მრეწ. საბჭოსი, ზუბალაშვილისეული, სარაჯიშვილისეული და სხვა), მაგრამ ნაყოფი ეგოდენ ხარჯისა მეტად საეჭვო და პრობლემატიურია. ამ სტიპენდიების შემწეობით ჩვენში მრავალ ახალგაზრდას შეუძენია უფლებათა მომნიჭებელი „პატენტი" (დიპლომი), გული დაუმშვენებია „მრავალ მეტყველი" ნიშნით და შუბლი მოზრდილი კოკარდით. მაგრამ მაჩვენეთ, მე ურწმუნოსაც, ამ ნასტიპენდიანტებიდგან ორიოდე კაციც მაინც არის საზოგადო ასპარეზე, რომელთაც რამენაირად გაუმართლებიათ მათზე დაპყრობილი იმედები. წინად, როდესაც ჩვენში—სტუდენტობა „ახალი ხილი იყო" და საზოგადოდ ახალგაზრდობის ძალიან მცირე რიცხვი მიიწევდა უმაღლეს განათლების მისაღებად, შეიძლება გაგვემართლებინა ამოდენა საზოგადო ხარჯი. მაგრამ უწინ თუ თითო-ოროლა ძლივს აღწევდა უმაღლეს სასწავლებლის კარამდე, ეხლა ყოველწლობით ასობით გვიბრუნდებიან დიპლომიანი... მოხელენი და ქართველი მოხელე ხომ უცხოზე თუ მეტი არა, ნაკლებ დაუნდობელი და სასტიკი მაინც არის, როცა ის თავის მემამულეთა შორის ასრულებს ნაკისრს სამსახურს. მაშასადამე ჩვენ ღარიბ საზოგადოებას რაღა დახმარება სჭირია იმ მოხელეთა „შემატების" შესანახად რაიც უმისოდაც მთავრობის საზრუნავ საქმეს შეადგენს. მე თქვენ გითხარით ჩვენში სხვა გვარი, ერთი ორად და ერთი უფრო ათად მეტად საზრუნველი და სასარგებლო საქმე დაუკმაყოფილებელი არა გვრჩება.

ამიტომაც, ჩვენ მეტად გვაკვირვებს ხოლმე ზოგიერთ ჩვენ დაწესებულებათა და ქველმოქმედთა ისეთი გულუხვობა სტიპენდიებზე მაშინ, როცა ჩვენში ათობით და ასობით მრავალი კომლოვან სოფლებს არ მოეპოვებათ ანბანის შესასწავლი სკოლაც კი.

რა თქმა უნდა, საჭიროა სწავლით აღჭურვილი ინტელიგენცია, მაგრამ ეხლა იმ ხანაში ვცხოვრობთ, როცა საზოგადოების დაუხმარებლადაც მრავალი ტყავს აძრობს და მიიწევს უმაღლეს სასწავლებლისკენ, რადგანაც იგი ანიჭებს შედარებით უზრუნველ ყოფა მდგომარეობას.

[illegible], რომ ჩვენ ვზრუნავთ ერთ მუჭა ინტელიგენციის შესაქმნელად მაშინ, როდესაც მთლად ჩვენი ერის შემადგენელი მასსა მივიწყებულია. საჭიროა ცოტაოდენმა განათლების შუქმაც შეანათოს ჩვენებურ ჯურღმულს სიბნელით მოცულ სოფლებში, რომ უდიდესმა ნაწილმა ჩვენი ერისამ,—მშრომელმა ხალხმაც,—რომელიც ჰქმნის მთელი ერის კეთილდღეობას, აზრიანად და მეტის ნაყოფიერებით გამოიყენოს თვისი შრომა, თვისი ძალ-ღონე.

იმ ფულით, რაიც იხარჯება ყოველ-წლივ თითო სტიპენდიაზე, თამამად შეიძლებოდა (სოფლის ცოტაოდენის დახმარებით) თითო სკოლის შენახვა. განსვენებულ დ. ზ. სარაჯიშვილს მადლობის მეტი რა ეთქმის სტიპენდიებისათვის გადადებულ დიდი თანხისთვის, მაგრამ თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ფულის სარგებლით თამამად შეიძლებოდა ხუთი-ექვსი კარგ სოფლის სკოლის (სამეურნეო ნაწილიც) შენახვა, მკითხველი არ შეიძლება არ დაგვეთანხმოს, რომ სარგებლობა-მნიშვნელობის მხრივ შედარებაც კი არ შეიძლება ამ ორ საქმეში.

ჩვენ არც ეხლა ვართ სავსებით წინააღმდეგი სტიპენდიებისა, მაგრამ ჯერ ერთი კარგი იქნებოდა, მათი რიცხვი შესამჩნევად შემცირებულიყო და გადარჩენილი ფული მოხმარებოდა სტიპენდიებზე უფრო მეტად მნიშვნელოვან საქმეს,—ხალხში ცოდნის გავრცელებას.

ქ. შ. წ. კ. საზოგადოების გამგეობას ზნეობრივი მოვალეობა აძევს მეტის სიფრთხილით და მიუკერძოებლობით მაინც ანაწილებდეს ამ სტიპენდიებს, რადგანაც საზოგადოებაში დიდი ხანია საყვედური ისმის: უმრავლეს შემთხვევაში სტიპენდიებს აძლევენ ისეთ ახალგაზრდათ, რომელთაც არავითარი საზოგადოებრივი ნიშან-წყალი არა სცხიათ და მართლა ნიჭიერნი კი, რომელთაც, ასე თუ ისე, დაუმსახურ[illegible] საზოგადოების ყურადღებ[illegible] გარიყულნი რჩებიან"...

მით უმეტეს ეხლა საჭიროა გამგეობას მეტი სიფრთხილე განაწილებაში, როცა დასარიგებლად სულ ექვსი სტიპენდია და მთხოვნელთა რიცხვი კი თურმე ასზე მეტია.

გ. ა.—ციხელი.

ქუთაისის ავ-კარგი

სენაკის სკოლის გამო ძველი და ახალი სენაკი მოცილეობენ. არა ძველ ადგილას უნდა ავაგოთ სკოლის ბინა, არა ახალ სენაკშიო.

რაკი კამათი დაწყებულია იმას ვერაფერი ღონისძიებით ვერ შევაჩერებთ და ამიტომ ჩემს თავს ნებას ვაძლევ ორიოდე სიტყვა ვთქვა იმის თაობაზე, თუ სად უფრო უმჯობესია სენაკის სკოლის გადატანა.

ამ რამდენიმე წლის წინად ზუგდიდის მაზრაში მოგზაურობა მომიხდა. არა ერთსა და ორს სოფლის სკოლაში შევიარე და, მართალი უნდა მოგახსენოთ, მეტად გულის გამტეხ სურათს წარმოადგენს სახალხო განათლების საქმე. მასწავლებლებად, უმეტეს შემთხვევაში, ნიშნავენ ზუგდიდის სასწავლებელში კურს დამთავრებულთ ივანოვსკისა და მის მიმდევართა მეოხებით სასწავლებლიდან ქართული ენა განდევნილია და, რასაკვირველია, კურს დამთავრებულნი ქართული ენის სრული უვიცნი გამოდიან. აი ასეთ მასწავლებელთა ხელშია, უმეტეს ნაწილად, სახალხო სკოლების სვე-ბედი. მე მგონია, რომ სენაკის სკოლა ზუგდიდის მაზრაში რომ გადავიდეს, დიდ სამსახურს გაუწევს ქართული ენის მოღონიერებას სამეგრელოს ისეთ ნაწილში, საცა სხვა ადგილებზე მეტად არის იგი დავიწყებული. მარტო ის გარემოება, რომ ზუგდიდში იქნება კარგად მოწყობილი სკოლა ქართული ენის სწავლების მხრივ, დიდ სამსახურს გაუწევს მთელ მაზრას.

საზოგადოდ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამაც და და განყოფილებებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ზუგდიდის მაზრას, განსაკუთრებით სამურზაყანოს მოსაზღვრე ადგილებს და, საცა კი შესაძლებელი იქნება, ნორმალურად მოწყობილი სასწავლებლები დაარსონ.

სენაკის მაზრაში, ზუგდიდთან შედარებით, ქართული ენა უფრო ხშირად ისმის, უფრო გავრცელებულია, ხოლო ზუგდიდის მაზრაში ხშირად მინახავს სოფელი, საცა ქართული 1—2 კაცმა იცის და ხან ესეც არა.

დარწმუნებული ვარ, თუ სენაკის სკოლის გადატანა ზუგდიდში გადაწყდება, ზუგდიდელები სიამოვნებით მიეგებებიან ამ საქმეს და, შესაძლებელია, ნივთიერი დახმარებაც აღმოუჩინონ.

⁂

ერთი რამ აფერხებს სენაკის სკოლის საქმეს—რაც არა ერთხელ აღმინიშნავს. ამ სკოლას აქამდე წერა-კითხვის საზოგადოების მიერ არჩეული კომიტეტი განაგებს, რომლის მოქმედება ძალაობას უფრო წარმოადგენს ვიდრე ჩვეულებრივ ნორმალურ მოღვაწეობას. თავდაპირველად კომიტეტს ბევრმა წევრმა დაანება თავი, ისე რომ ხშირად შეუძლებელი ხდება კომიტეტის წევრთა კანონიერი რიცხვის შეკრება; კომიტეტი ქაღალდზე უფრო არსებობს, ვიდრე საქმით, საშუალება მას ხელი არ არის, რაც იყო (ბანკის მოგება) ისიც მოისპო და თუ ამ ჟამად ფარფატებს კომიტეტი მარტო იმის მოლოდინში, რომ გადამწვარ შენობის პრემიას აიღებს, იქნება გადამწვარი შენობა ააგოს და ამით გაათავებს საქმეს. საჭიროა სენაკის სკოლას გაუჩნდეს ნამდვილი ჭირისუფალი ისე, როგორიცა ჰყავს ქართულ გიმნაზიას და მაშინ ავად თუ კარგად სენაკის სკოლის საქმეც მოწესრიგდება.

⁂

ეს წერილი დამთავრებული არ იყო, რომ რამდენიმე ზუგდიდელთან მომიხდა ლაპარაკი სენაკის სააზნაურო სკოლის გადატანის თაობაზე. მათ, რასაკვირველია, ჩემი წინადადება მოეწონათ. და თან დასძინეს შენობისათვის საკმაო ზომის ადგილს ზუგდიდელები უეჭველად დაუთმობენ სკოლას; თვით შენობის აგება ზუგდიდში ბევრად იაფი დაჯდება მასალის სიაფის გამო; სკოლაში შემსვლელთა სურვილი დიდი იქნება, ბევრად მეტი, ვიდრე სენაკში, სადაც კლასში 2 ყმაწვილი ძლივს იკრიბებოდა; მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის ცხოვრება ზუგდიდში ბევრად უფრო ია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამასაფლავე!

აღმომხდა კვნესა უკანასკნელი,
ვით გედს სიმღერა სიკვდილის წინად;
მოზარედ შევქმენ ნიავი ნელი
და თვით ოცნება ეკლის გვირგვინად;
სულს ვაგრძნობინე ცრემლების გემო,—
აღმოვაჩინე გესლის სათავე...
არარაობას ვგრძნობ ჩემს გარშემო,
სიცოცხლის ჰიმნი დავასაფლავე!

* * *

როგორ მიყვარდი, როგორ მიყვარდი
თვით ზევსი ვერც კი წარმოიდგენდა!
ჩემის ნასუნთქით აღვზარდე ვარდი,
ჩემის ლექსებით სხვაც კი ილხენდა;
ძირს დავანარცხე ცისა ლაჟვარდი
და მზის ტალღებში შევსთხზე ლეგენდა.

*

დღეს კი... ოჰ, დღეს კი, სიცარიელე,
უდაბნო მკვდარი, უდაბნო ვრცელი,
თოვლის მთიები, კაეშნის ღელე,
რტოზე შემხმარი ვარდის ფურცელი,—
სუყველა ერთად ცრემლით დავქსელე
და ზედ ამოვსჭერ: სიკვდილის ცელი!

* * *

ოჰ, თქვენ ვისაც გსურთ ტკბილის სიტყვებით
შეჰქმნათ სიცოცხლე შეუმწიკვლავი.—
მოდით, მოფრინდით და ფერად ქვებით
ამომიქოლეთ, ბედკრულს, საფლავი.
მე ხომ სხივს ვწვამდი დილის შიკრიკად?
მე ხომ სული ვარ მონათესავე?
მაშ, რად მიცქერი ეგრე სასტიკად,—
დამასაფლავე!.. დამასაფლავე!

ი. გრიშაშვილი.

ფია, ვიდრე სენაკში და დასასრულ სათავად - აზნაურო სასწავლებლის არსებობას ზუგდიდში დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა ექნება ზუგდიდის მაზრისათვის, როცა არც ერთი ქართული კულტურული დაწესებულება არ მოიპოვება.

საგაზეთო წერილში დაწვრილებით და დასაბუთებით აღნიშნა ზუგდიდის უპირატესობისა სენაკთან შედარებით შეუძლებელია. სკოლის კომიტეტი, ჩემის ფიქრით, ვალდებულია ყურადღებით მოეპყროს ამ საქმეს, გამართოს თათბირი ამ საგანზე საქმის გულშემატკივართა თანადასწრებით და გადასწყვიტოს იგი. რამდენადაც ჩვენ ვიცით, სკოლის კომიტეტს ჯერ-ჯერობით შენობის გეგმის მეტი არაფერი დაუმზადებია. ჯერ-ჯერობით ვერც ფულს მიიღებს და დრო რომელიც მორჩება ფულის მიღებას უნდა მოანდომოს ამ საგანზე თათბირს.

არც ზუგდიდელები დააშავებდენ რამეს, თუ ამ საგანზე მოილაპარაკებენ დაგაზეთისა თუ სხვა საშუალებით, შეატყობინებენ კომიტეტს, რა დახმარება შეუძლიანთ გაუწიონ შენობის აგებაში, თუ სკოლას იქ გადაიტანენ.

ბ. ქ. ქ.

დაუდევრობა თუ შეუგნებლობა?

ამ პატარა წერილში ორიოდე სიტყვით მაინც მინდა გამოვესაუბრო მკითხველს ისეთ საგნის შესახებ, რომლის საერთო მნიშვნელობა კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა კულტურულ ერის წევრთათვის ცხადი უნდა იყოს. მე მოგახსენებთ კანტროლის მნიშვნელობას ჩვენი საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის. ერთის მხრივ ჩვენს დროში ამ საგანზე ლაპარაკი მეტიც უნდა იყოს, მაგრამ დღესაც მოიპოვება ჩვენი სამშობლოს საზღვრებში ისეთი კუთხე, სადაც თითქმის ჯერაც არ შეუგნია რევიზიის მნიშვნელობა არა თუ მარტო ეგრედწოდებულ მდაბიო ხალხს, არამედ მოინტელიგენტე პირთაც.

ამხანად მინდა ერთი პატარა მაგალითი აღვნიშნო, რომელსაც ადგილი ჰქონდა წ.-კ. გ. საზოგადოების ჩხარის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს განყოფილებაში. ეს შემთხვევა იმით არის საყურადღებო, რომ ასეთი წიგნთ-საცავ-სამკითხველოები ერთერთ საუკეთესო იარაღად ითვლება ჩვენი ხალხის თვითშეგნება-განვითარებისთვის.

წელიწადზე მეტია, რაც ჩხარში სამკითხველო არსებობს, მაგრამ მას დღემდის არავითარი წინსვლა ეტყობა. სამკითხველოში მოიპოვება სულ სამი გაზეთი: „სახალხო გაზეთი", „მშაკი", და „ზაკ. რ."-ი და 10—15 ცალი ქართულ-რუსული წიგნი. აქ არ მოიპოვება არც ერთი საბავშვო-საყმაწვილო ჟურნალი და არც ხეირიანი წიგნი და წიგნაკი. ჩხარი ქუთაისს 30—40 ვერსითაა დაშორებული და სამკითხველოს იმდენი ვერ მოუხერხებია, რომ მას „კოლხიდა" მაინც ჰქონოდა.

ეს სამკითხველო უსახსრობისა გამო სულსა ჰლევს და მშველელი კი არსადა სჩანს. შარშან ზაფხულს საქმის დაწყებისათანავე ჩაწერილან წევრები,*) რამდენიმე მანეთი შეუგროვებიათ, სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენაც გაუმართავთ, საიდანაც კოტაოდენი ფულიც დარჩენიათ (15 მან.), და მას შემდეგ არც სამკითხველოს და არც ამ წარმოდგენის შემოსავალ-გასავლისა საზოგადოებამ არა იცის რა! არც საკვიტანციო წიგნი, არც შემოსავალ-გასავლისა და არც კატალოგი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ჩასაწერად სამკითხველოს არ მოეპოვება. იმ თავითვე უნდობლობის თვალით შეუხედავს საზოგადოებას სამკითხველოსა და მისი ანგარიშებისათვის და გული აუცრუებია. საზოგადოებაში გავრცელებულია ხმა, ვითომ შარშანდელი წარმოდგენიდან 15 მან. კი არა 15 თუმანი დარჩა, მაგრამ საქმეს არ მოხმარებიაო და სხვა. იმ წარმოდგენის ოფიციალური და პასუხის მგებელი გამგე ყოფილა ქ-ნი ასათიანისა, ხოლო ფაქტიური გამგე, საქმის სრული დამოუკიდებელი მომწყობი-ადგილობრივი მომრიგებელი სასამართლოს დივანი ბ. პანტ. ფანჩულიძე. იმ ხანებში ქ-ნი ასათიანისა ჩხარიდან წასულა (მისი ქმარი სხვაგან გადაუყვანიათ სამსახურში) ბ. ფანჩულიძეს კი ზემოდ აღნიშნული 15 მან. სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარისთვის გადაუცია, ხოლო შემოსავალ-გასავლის ანგარიში დღემდისაც არ წარუდგენია.

ამ ზაფხულის ოც ივნისს თავმჯდომარის მიერ მოწვეულ კერძო თათბირზე საზოგადოების წევრებმა (დაესწრნენ თითქმის ყველანი და რამდენიმე სტუმარიც, მათ შორის მეც). სხვათა შორის აირჩიეს სამი კაცისაგან კომისია, რომელსაც დაავალეს ბ. ფანჩულიძისაგან ანგარიშის მოთხოვნა შარშანდელ წარმოდგენის შემოსავალ-გასავლისა. კომისიამ წერილით დაიბარა ბ. ფანჩულიძე ზემოდ აღნიშნულ ანგარიშის მოსალაპარაკებლად, მაგრამ მან კომისია პასუხის ღირსიც არ გახადა. ხოლო კომისიამ ბ. ფანჩულიძის აზრი გაიგო წერილის მიმტანისა და თვით კომისიის ერთი წევრისაგან (იგი გამგეობის წევრიც არის), რომელთათვისაც ბ. ფანჩულიძეს განუცხადებია: მე ამ ანგარიშის შესახებ არა ვიცი რა და არც არაფერ შუაში ვარო.

მართალია, ძლიერ დაგვიანებულია ამ ანგარიშის მოთხოვნა, შეიძლება ბ. ფანჩულიძეს ეს ანგარიშები დაეკარგა კიდეც და ზეპირად არც კი ახსოვდეს საიდან რა შემოვიდა, ან სად რა დაიხარჯა, მაგრამ ეს გარემოება მას სრულებითაც არ ამართლებს: მას თავის დროზე უნდა გადაეცა ანგარიშები, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო. და თუ ბ. ფანჩულიძემ მაშინ ეს ვერ მოახერხა, იგი ვალდებულია ეხლა მაინც იმართლოს თავი საზოგადოების წინაშე. ამით იგი საზოგადოებასთანაც პირნათლად გამოვა და სამკითხველოსაც შეუწყობს ხელს მეტი ნდობისა და სიყვარულის მოპოვებაში. უკანტროლობა და ანგარიშის მიუცემლობა უნდა ჩაითვალოს იმის უმთავრეს მიზეზად, რომ სამკითხველომ ხალხის თვალში ნდობა და სიყვარული დაჰკარგა. ამას კი შედეგად მოჰყვა წევრთა რიცხვის შემცირება, საწევრო ფულის გადაუხდელობა, სამკითხველოს სიცარიელე - მოუწყობლობა და რაღა საკვირველია, თუ იგი ღირსეულად ვერ ემსახურება თავის დიად დანიშნულებას!

ბ. ჭუმბურიძე.

---

*) საკვირველია, მთელი წლის განმავლობაში სამკითხველოს მხოლოდ 18 წევრი ჰყოლია. ჩხარისთვის ეს რიცხვი სათქმელიც არ არის.

კახეთის რკინის გზა და კიზიყელნი

(მცირე შენიშვნა კახეთიდან).

საკვირველი ხალხი ვართ ქართველები. ჯერ არაფერს ვაკეთებთ და თუ დავიწყებთ რასმე თან დაჰყვება შური, მტრობა, კინკლაობა, ჭიუტობა და ყველა ეს საზოგადო საქმეს თუ არა ჰკლის, აბრკოლებს მაინც.

სწორედ კახეთის რკინის გზისას მოგახსენებთ. როგორც იყო, დიდი ხნის ოცნების შემდეგ, გვღირსა კახელებს და ჩვენი კუთხისკენ რკინის გზის გამოყვანის საქმე განხორციელების გზას დაადგა. რასაკვირველია, შიგნით კახეთისათვის უმჯობესი იქნებოდა ინჟ. სიპბერსკის მიმართულება ე. ი. გზას ტფილისიდამ თიანეთ-თელავზე გამოევლო სიღნაღამდე. მაშინ თიანეთის მაზრა გაცოცხლდებოდა, მთიელთა დაქვეითებული ცხოვრება მთლად შეიცვლებოდა, მხოლოდ შიგნით კახეთის და მის დედა-ქალაქ თელავის ბედი ძაღლი არ დაჰყეფდა, იგი ტფილისზე—ძრიელ ახლოს იქნებოდა და ქვემო მხარეს მიმავალი ძალა უნებურად თელავში გაჩერდებოდა, მაგრამ რასაც ჩვენ ველოდით, ბედმა ქიზიყს არგუნა და შიდა-კახეთი კი ბოლოს მოექცა.

ამისდა მიუხედავად კახეთის, როგორც თავად-აზნაურობა ისე მცხოვრებნი უსიტყვოდ დაემორჩილნენ ინჟინერ სპეციალისტთა და გუბ. თავ.-აზნაურთა გადაწყვეტილებას. კმაყოფილების მაგიერ პროტესტი გამოაცხადა, როგორც მკითხველს ეხსომება ქიზიყის თავად-აზნაურობამ და მოითხოვა რკინის გზის ჩალაუბნის მთა-გრეხილის მაგიერ პრასიანზე გატარება. ამ საკითხზე წარსულ ზამთარს კრება-კრებას მოსდევდა ტფილისში, მსჯელობა—მსჯელობას, ახსნა განმარტება მეტი იყო და ბოლოს ჩალაუბნის მიმართულებით დაკმაყოფილდნენ, მხოლოდ სოფ. საქობომდე ცალკე შტო უნდა გაეყვანათ. ტფ. გუბერნიის თავ.-აზნ. კრებამაც ხომ თითქმის ერთხმივ (ერთის გარდა) გადასწყვიტა ჩალაუბნით რკინის გზის გაყვანა.

გვეგონა საქმე გათავებული იყო, მაგრამ 17 ივლისს ს. მაჩხანში ქიზიყის საზოგადოებას თავ.-აზნ. მარშლის თავ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით კრება ჰქონიათ და დაუდგენიათ: აქეთ იქით დეპეშების გაგზავნა, რათა რკინის გზა პრასიანზე გაატარონ, ამოურჩევიათ დეპუტაცია მეფის მოადგილესთან წარსაგზავნადდა გადაუწყვეტიათ სოფლის საზოგადოებებში განაჩენების შედგენა („სახ. გაზ.", № 361). ყველა ეს კი, მე მგონია საქმეს დააბრკოლებს...

თუნდა ესეც არა, ქიზიყის თავად-აზნაურობას და საზოგადოებას რად უნდა რკინის გზა მარტო თავისთვის და რატომ შიგნით და ზემო კახეთსაც არ იღებს მხედველობაში.

კახეთის რკინის გზა კახეთისათვის (თელავის მაზრა) ისეც უსარგებლო იქნება და ახლა პრასიანზე თუ გაატარეს, რითაც 40 ვერსით დაშორდება, მაშინ ხომ ამ გზას არავითარი მნიშვნელობა ექნება. უკანასკნელი სადგური თელავშია დანიშნული (ქალაქიდან ასე 3 ნახ. ვერსის სიშორეზე) თელავის მაზრის მხოლოდ ნახევარ ნაწილსა ჰხვდება—20 ვერსის მანძილზე, ისიც გამოღმა მხარე რომ ავიღოთ, თორემ გაღმა მხარე და მთელი ზემო კახეთი დაშორებული იქნება გზას და ისეც ძნელი იქნება მისით სარგებლობა. თუ პრასიანზე გაატარეს, როგორც ქიზიყელნი თხოულობენ, მაშინ 30-40 ვერსით კიდევ დაშორდება, ისეთივე უსარგებლო იქნება ეს გზა კახეთისათვის, როგორც მდინარე ალაზანი და ვერაფრით გამოვიყენებთ.

მე მგონია სწორედ ეს საფუძველი და ამას გარდა სპეციალისტ-ინჟინერთა გამოკვლევა,—რომ ჩალაუბანზე სამჯობინოა და იაფიც დაჯდება გზის ექსპლოატაცია, ვიდრე პრასიანისა,—ხელმძღვანელობდათ თავ. ბაგრატიონ-დავითაშვილს, ჩოლოყაშვილს და თუმანიშვილს, როცა ჩალაუბნის მიმართულება ამჯობინეს და ტფ. გუბერნიის თავ.-აზნაურობამაც დაადასტურა ეს გადაწყვეტილება თავის კრებაზე.

რაც შეეხება ქიზიყელთა დეპეშას, დეპუტაციას და განაჩენებს, ამას საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან, თუ საჭირო იქნება, ადვილი შესაძლებელია შიგნით კახეთის მცხოვრებთაგანაც დეპუტაციის არჩევა, დეპეშების გაგზავნა და განაჩენების შედგენა, მაგრამ ეს ხომ უფრო დაჰხლართავს საქმეს და ამას კი უნდა ვერიდოთ. ჩვენ მთელი კუთხის სასარგებლო და საკეთილდღეო საქმეს უნდა მივაქციოთ ყურადღება და არა იმ გარემოებას, რომ ქიზიყის რამდენიმე სოფელს გზა ასცდება და ოღონდ კი ამ სოფლებზე გაიყვანონ და ზემო კახეთი... გინდ მეწყერსაც წაუღია.

ეულ.

წერილი წაღვერიდან

(ბორჯომის ხეობა).

სოფ. წაღვერი ბორჯომიდან თხუთმეტიოდე ვერსის მანძილზეა და მშვენიერ ადგილას მდებარეობს. საზოგადოდ, ბორჯომის ხეობა ჩვენი ქვეყნის ერთი უმშვენიერესი კუთხეთაგანია. ისტორიულადაც იგი შესანიშნავია. წაღვერი შესანიშნავია კიდევ თავის მჟავე წყლებით, რომელიც ბორჯომის წყალს არ ჩამოუვარდება.

მთელი ამ ხეობის სოფლები საშინელ სიღარიბესა და უვიცობაშია. იმათთვის არც სკოლაა, არც სამკითხველო, არც ბიბლიოთეკა და არც სხვა რამ კულტურული დაწესებულება.

წაღვერში მუდამ მოდიოდნენ მოაგარაკენი, მაგრამ წელს კი მან ძალიან გაიწია. მიზეზი ის გახლავთ, რომ წელს, აქაურ ტყის გამგის მურვანიშვილის მეოხებით წაღვერი ძალიან გამშვენიერდა. მურვანიშვილმა ააშენა თეატრი (თავის ხარჯით; დანახარჯს შემოსავლით ინაზღაურებს), გახსნა სამკითხველო, სადაც ამ ზაფხულს მოდიოდა რუსეთისა და ტფილისის თითქმის ყველა პროგრესიული გაზეთები, შუა სოფელში გამოიყვანა მშვენიერი წყაროს წყალი, ნახევარი ხარჯი სოფლისა იყო, ნახევარი ტყის გამგეობისა (ტყე დიდს-მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს ეკუთვნის). გაიყვანა ტყეებში მშვენიერი სასეირნო გზები და სხვა. ყველაფერი ეს იყო მიზეზი, რომ ამ ზაფხულს წაღვერს დიდი საზოგადოება მოაწყდა. უმთავრესად ქართველობა, რომელიც მოაგარაკეთა ორ-მესამედს შეადგენდა. ერთს თვეში აქაურ თეატრში გაიმართა 8 წარმოდგენა, 12 საღამო (ბავშვებისა და დიდებისათვის), ერთი კონცერტი (კავსაძისა) და ერთი ლექცია, რომელიც წაიკითხა სვ. ქვარიანმა, („დიდი მოურავი და მისი დრო").

ყველა ამ წარმოდგენა-საღამოების ანგარიშს მკითხველთ მერე გავაცნობთ, ეხლა კი ცოტა რამეს ვიტყვით მათ შესახებ. ერთი წარმოდგენა გამართა ვლ. ალექსი-მესხიშვილმა. იგი აქ იყო თავის „ტრუპით"; ამ „ტრუპის" მონაწილედ სცენის მოყვარეთა სახელიც კი არ ეთქმით. დასდგეს მიხ. ნასიძის მიერ გადმოკეთებული პიესა; წარმოდგენამ ძალიან ცუდად ჩაიარა, იმდენად ცუდად, რომ მთელი დრამა, წარმოდგენა და თეატრი კომედიად იქცა. შემოსავალი მაინც კარგი ჰქონდა.

კავსაძის მიერ გამართული კონცერტიც ვერ გამოდგა, ჩვენც იგივე შეგვიძლიან ვსთქვათ, ამის შესახებ, რაც ბორჯომიდან იყო მოწერილი ბ-ნ ტრ. რამიშვილის მიერ.

როგორც მოგახსენეთ, აქ ბევრი იყო ქართველი ინტელიგენცია, მაგრამ არას აკეთებდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ-ორ წარმოდგენას.

მთელი ეს ხეობა ისტორიულ სიძველეებითა, ეკლესიებით და ციხეებით სავსეა, მაგრამ მათი დათვალიერება გაცნობა აზრადაც არავის მოუვიდა. იმას კი ხშირად შევხვდებოდით, რომ ტყეში ისხდნენ ჯგუფ-ჯგუფად და ბანქოს თამაშობდნენ. სამაგიეროდ, აქ იყო მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების წევრი გოროდცევი, მან გათხარა ადგილები უზნარიანის ციხის გარშემო და ბევრი საყურადღებო რამ იპოვა; მაგ. ქვის ისარი, ბრინჯაოს სამაჯურები, გულის ქინძისთავები, მძივის მანიკი და სხვა. ყველაფერი ეს საფლავებში იპოვა. თითო საფლავში 4—7 ქოთანი იყო. ქოთნები ბერძნული სტილისა, ძალიან სუფთა და შესანიშნავი ხელოვნებისა. გოროდცევმა ეს ნაშთები 7—8 არშინის სიღრმეზე იპოვა. მისი აზრით, ეს ნივთები ბრინჯაოს ხანას უნდა ეკუთვნოდეს რაც ღრმად იყო ჩაფლული. რაც უფრო ზემოდ იყო და თვით ციხე, გოროდცევის აზრით XII—XIII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ყველაფერი, რაც იპოვა გოროდცევმა, რასაკვირველია, მოსკოვს გაზიდა. მხოლოდ მურვანიშვილმა მოახერხა და ხელში ჩაიგდო ზოგიერთი რამ, და ამ მოკლე ხანში, იგი ამ ძველებურ ნივთებს ქართულ საისტორიო საზოგადოებას გადასცემს. გოროდცევმა ლექცია წაიკითხა ბორჯომში; ლექცია ახლად აღმოჩენილ ნივთებს ეხებოდა. გოროდცევმა თავის ლექციის ბოლოს ის დაასკვნა, რომ ამ ადგილებში 12 საუკუნეში ისეთი დიდი კულტურა ყოფილა, რომ მის კულტურასთან, რომელიც ეხლა ბორჯომის ხეობაშია, შედარებაც კი არ შეიძლებაო.

აი, ასეთი საინტერესო ადგილებია აქეთ დასათვალიერებელი და ჩვენი ინტელიგენცია კი არაფრით დაინტერესდა.

აქ იყო რამდენიმე ჩვენი გამოჩენილი მსახიობიც. მიუხედავად იმისა, რომ ტყის გამგეობა და სხვებმაც რამდენჯერმე სთხოვეს გლეხებისათვის ერთი უფასო წარმოდგენის გამართვა, მიუხედავად იმისა, რომ მსახიობნიც დაჰპირდნენ, მაინც არაფერი გამართეს. ასეთია ქართველური დაუდევრობა- მსახიობთ თავიანთთვისაც კი ერთხელ ძლივს მოახერხეს წარმოდგენის გამართვა, არამც თუ გლეხებისათვის გაემართათ. როცა აქაურ თეატრში ფასიანი წარმოდგენა იმართებოდა, გლეხები თეატრს გარს ეხვეოდნენ, მაგრამ შიგ შესვლას კი ვერ ახერხებდნენ ხელმოკლეობისა გამო.

სტუმარი.

სასამართლო

დიდად საინტერესო საქმე.

12 ოქტომბერს ტფილისის საოლქო სასამართლო შეუდგება ფოსტის ვაგონიდან ნახევარ მილიონ მანეთის გატაცების საქმის გარჩევას.

ამ საქმის თაობაზე 17 კაცია სამართალში მიცემული. ბრალდებულის სკამს სხვათაშორის დაამშვენებს ტოლმაჩევის ცნობილი მარჯვენა ხელი, ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფი კაპიტანი ერმოლოვი. ვინ წარმოიდგენდა თუ გურიის მცხოვრებთა რისხვა, კრამოლნიკების დამპერი, ხემწიფის ერთგული მოხელე, შანტაჟისტების ბრბოში გაერეოდა, სახემწიფო ფოსტის გაძარცვას იკისრებდა. მაგრამ, როგორცა ჰხედავთ, ზოგჯერ სხვათა გამსჯელიც არ ასცდება დაპატიმრება—გასამართლებას. წელიწადზე მეტია რაც ერმოლოვი ციხეში ბრძანდება სამსჯავროს განაჩენს ელის. დანარჩენ ბრალდებულთა უმეტესობა გურულებია. ამ საქმეზე დაპატიმრებულია, სხვათა-შორის, ახალგაზრდა აფიცერი გიორგი ოთხმეზური, რომლის დამცველად მიწვეულია რუსეთში ცნობილი სამხედრო ნაფიცი ვექილი კუზმინ-კარავაევი.

ამ საქმის თაობაზე ძლიერ ბევრი მოწმეა გამოწვეული. და მოსალოდნელია ბევრ „უმანკოს" აეხადოს ნიღაბი.

ღია წერილი

ქიათურის ქართულ დრამ. საზოგ. გამგეობის თავმჯდომარეს ბ. სოფ. ტარუაშვილს.

მ. ხ.

როგორცა სჩანს „სახალხო გაზეთის"—პარასკევის, 19 აგვისტოს ნომერში მოთავსებულ წერილიდან „ქიათურის აუ-კარგი" და „მნათობის" № 6—კორესპონდენციიდან ქიათურის სცენის მოყვარენი გაყოფილნი ყოფილან ორ ჯგუფად. ერთს—რეჟისორად უნდოდა ა. წუწუნავა და მეორეს—კი მე. პირველმა ჯგუფმა, ე. ი. წუწუნავას მომხრეებმა გამგეობას თურმე მოთხოვნილებაც კი წარუდგინა,—რეჟისორად ა. წუწუნავა მოგვიწვიათ, თქვენ კი, მიუხედავად ამ მოთხოვნილებისა მე მომიწვიეთ, და ამით საბუთი მიეცით ბ. „რეცენზენტს" „მნათობის" მე-6 №-ში ასეთი უშვერის სიტყვებით გაველანძღე. ბ. „რეცენზენტს"—მისი უზრდელი სიტყვებისათვის სადაც ჯერ არს პასუხი გავეცი, მაგრამ ეხლა თქვენა გთხოვთ მიპასუხოთ: თუ თქვენს სცენაზე საქმე ასე აწეწილა და სცენის მოყვარენიც ორ ჯგუფად იყო დაყოფილი, მე რაღად მომიწვიეთ და რად ჩამაგდეთ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში. რად მიეცით ბ. რეცენზენტს საბუთი სრულიად უდანაშაულო კაცი გაველანძღე?!

მართალია, პრინციპიალურად თანხმობა განვაცხადე თქვენთან მუშაობისა, მაგრამ ეხლა კი უარსა ვყოფ და თქვენთან მუშაობას არ დავთანხმდები მანამდე, სანამ შემდეგში არ დამაკმაყოფილებთ: 1) გამგეობამ უნდა პასუხი გასცეს ბ. რეცენზენტს, რომ მე ეს ადგილი არ მითხოვნია თქვენთვის, მაშასადამე ლანძღვის ღირსიც არ ვიყავი; 2) იმ სცენის მოყვარეთ, რომელნიც ბ. რეცენზენტის აზრისანი არ არიან, უნდა კოლეგიური წერილი გაგზავნონ რედაქციაში და გამოაცხადონ სურვილი ჩემთან მუშაობისა.

გბლ. შალიკაშვილი.

უცხოეთი

ოსმალეთი.

ახალგაზრდა ოსმალთა ნაციონალური პოლიტიკა მთლად ჩაიფუშა. მას შემდეგ, რაც მათ მალისორებს ზოგიერთი რამ დაუთმეს, აუცილებელი გახდა, რომ იგივე დაეთმოთ სამხრეთ ალბანელებისათვის. ასეთივე დღე დაადგათ მათ არაბეთში. დეპეშებიდან ვიცით, რომ ამ უკანასკნელ დროს აჯანყებული არაბები რამდენჯერმე დაამარცხა ოსმალეთის მთავრობის ჯარმა. ამ ჯარების მთავარ-სარდალმა იზეთ-ფაშამ, ეხლა სამხედრო მოქმედებანი შეწყვიტა და არაბებთან მოლაპარაკება გამართა. ალბად იმ იმედით, რომ დამარცხებულნი არაბნი ეხლა უფრო დასთანხმდებიან პირობებს. მაგრამ ის პირობები, რომელიც ოსმალებმა აჯანყებულ არაბებს წარუდგინეს მოსარიგებლად, გამარჯვებულის პირობებს არა ჰგავს. არაბებმა ამ პირობების ძალით უნდა მიიღონ შინაური მმართველობა, ე. ი. ავტონომია, და სამხედრო ბეგარაც თავიანთ ქვეყანაში უნდა მოიხადონ. ეს იემენელ არაბების შესახებ. სხვანაირად არის საქმე ასსირელ არაბებისა. მათი მეთაური შეიხი, სეიდ იდრისი მთებში კარგად გამაგრდა და აზრადაც არ მოსდის, რომ თავის მიერ ერთხელ წამოყენებულ მოთხოვნილებებს ცოტა რამ მაინც დაუკლოს.

ამ ბოლო ხანებში ოსმალეთის შინაური ცხოვრება მაინც შესამჩნევად შეიცვალა. ერთი მხრით მთავრობა იძულებული გახდა თავის ნაციონალური პოლიტიკა შეეცვალა და არა ოსმალებისათვის ბევრი რამ დაეკლო, მეორე მხრით ოსმალეთის ქვეშევრდომ ეროვნებათ პოლიტიკურ ცხოვრებისადმი დიდი მისწრაფება გამოიჩინეს. უკვე შესდგა არაბთა ნაციონალური პარტია, რომელსაც ამჟამად დეპუტატი ჰყავს, გამოდიან სამოქმედოდ ბერძნებისა, ალბანელების და სომხების ეროვნული პარტიები. ამ პარტიებს ეტყობათ, რომ დიდი ძალა აქვთ. ოსმალეთის პარლამენტის მომავალ სესიაში, მთავრობა ამ დიდ ძალას, რომელიც დიდს ოპოზიციის შეადგენს, იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს.

დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან.

23 აგვისტო.

საზღვარ-გარეთ.

კანეია. კუნძულ კრიტზე ეხლა მშვიდობიანობა შეურყეველად მიმდინ-

გები აღარ იმართება. მიუხედავად ამისა, მცხოვრებთ გადასწყვიტეს სახელმწიფოთა მიერ ახლად დანიშნული კომისარი არ მიიღონ და აგრეთვე არც ზაიმისის რწმუნებულებას დასთანხმდნენ.

ქენტი. 3500 გაფიცული ფეიქარი საქმეს დაადგა.

ბრიუსელი. სამრეწველო ცენტრებში გაფიცულ და არ გაფიცულ მუშებს სისხლის დღვრა მოუხდათ. 10 კაცი დაჭრილია.

ლისაბონი. დეპუტატთა პალატაში სამინისტროს დეკლარაცია წაიკითხეს. აქედანა სჩანს, რომ მთავრობა ანტიკლერიკალურია, მაგრამ არც ერთ სარწმუნოებას ავი თვალით არ უცქერის; მთავრობა ეცდება, მუშა ხალხს გული არ გაუტეხოს და ის იმედი გაუმართლოს, რასაც იგი რევოლუციისაგან მოელოდა. გარეშე პოლიტიკა არ იცვლება.

ლილლი. ადლოსინში გაფიცულ და არ გაფიცულ მუშებს შეტაკება მოუხდათ, საქმეში ჯარი ჩაერია. დაიჭრა 5 პოლიციელი და 20 მუშა.

ვენა. ვენასა, პრაღასა, ლვოვსა და ბრნოში რკინის გზის მოსამსახურეებმა სანოვაგის სიძვირის წინააღმდეგ დემონსტრაცია გამართეს.

კანეია. კრიტოსის სახალხო კრების პრეზიდენტმა უთხრა საგენტოს კორესპონდენტებს, რომ ხალხი ახალ კომისარს, მხოლოდ მაშინ მიიღებს, თუ იგი საბერძნეთის მეფის არჩეული იქნებაო. ხალხს იმედი აქვს, რომ სახელმწიფონი მხარს დაუჭერენ.

ბერლინი. „ნორდ-დეიტშე ალგემეინე ცაიტუნგს" იმედი აქვს, რომ მაროკოს შესახებ მოლაპარაკება ეხლა უფრო მშვიდად წავა, ვიდრე აქამდის მიმდინარეობდაო.

პეკინი. გაზეთები იუწყებიან, სიხუნგუს ოლქში მაჰმადიანებმა დიდი მღელვარება დაიწყესო. სოთქვი ქალაქი ხელში ჩაუგდიათ. გაუწვევიათ ჯარი.

სტამბოლი. ჩერნოგორიის საზღვრებზე ოსმალების და ჩერნოგორელების ჯარებს შეტაკება მოუხდათ. პორტა ამას ჩერნოგორიას აბრალებს.

ურმია. შეიხ აბდუ ქადირმა ახალგაზრდა სპარსელებს დეპეშით უპასუხა და შეატყობინა, რომ მაჰმედ-ალის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად მოგეშველებითო. გაზეთების სიტყვით შეიხს ეს ამბავი ურმიელ კონსტიტუციონალისტებისათვის უცნობებია.

რუსეთი.

ნიკოლაევსკი. ერთ კვირაში ქოლერით ავად გახდა 2, მოკვდა 1.

პეტერბურგი. სინოდის ობერ-პროკურორმა სამინისტროსა სთხოვა, რომ ხაზინიდან სინოდს მიეცეს 961.000 მან. ამ თვით და შემდეგ ყოველ წლივ 2.282.000 მან, რათა ამ ფულით სამრევლო სკოლების მასწავლებლებს ჯამაგირი კანონიერად გაუდიდოთ.

განათლების სამინისტროში საქიმიო ინსტიტუტიდან დათხოვნილ ქალებმა რაცხვით 668, თხოვნა შეიტანეს და ითხოვეს უკანვე მიგვიღეთო. 343 მთხოვნელი ამბობს, ლექციებზე იმიტომ არ დავდიოდით, რომ ავად ვიყავითო.

ხარბინი. ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ იმპერატორს მოხსენება წარუდგინა, მოხსენება ოპიუმის შემოტანის აკრძალვას შეეხება.

თეატრი და ხელოვნება

ზუბალაშვილის თეატრი დღეს, 25 აგვისტოს ზუბალაშვილის სახალხო სახლში ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება „საძაგელი", „ჯერ თაიხოცნენ, მერე იქორწინეს". მონაწილეობენ: ვას. აბაშიძე, ვ. გუნია, ქ-ნი პიერეტა, და სხვანი.

ცხინვალი. 5 ს მარიამობისთვეს გვეწვია ქართული თეატრის მსახიობი ბ-ნი გ. იშხნელი თავისის დასით, რომელიც შესდგება მხოლოდ სცენის მოყვარეთაგან. წარმოადგინეს ლ. ანდრეევის ცნობილი პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა". უმთავრეს როლებს ასრულებდნენ ქ-ნი კიკნაძე, ნასარიძე და ბ-ნნი ე. ხუციშვილი, გ. იშხნელი და სხვა. საერთოდ პიესა ცუდად ჩაატარეს. პიესას მესამე მოქმედების უშველებელი ბოლო მოსწყვიტეს. ამან პიესის მთლიანობას ზიანი მიაყენა. სასურველია, რომ ასე აბუჩად არ აიგდონ ხოლმე გამოჩენილ მწერალთა პიესები.

რა საჭიროა ასეთი პიესების დადგმა, რომელსაც ვერ სძლევს ესა თუ ის დასი?..

იმედია სხვა დროს ყოველივე ამას ყურადღებას მიაქცევს ხსენებული დასი.

დ.

დ. გუდაუთა (სოხუმის ოლქი). 15 მარიამობისთვეს ადგილობრივ სცენის მოყვარეთ ითამაშეს „ბატონი და ყმა", „უბედური დღე" და „ორი მშიერი". აქაურ ქართველებს დიდი ხანია არ ენახათ ქართული წარმოდგენა და ამიტომაც იყო, რომ თეატრის დარბაზი აივსო. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, მხოლოდ „უბედურ დღე"-ში ქალები სუსტობდნენ. კაჭარავა (ვარდოს როლში) უხერხულად გრძნობდა თავს: ვერ ახერხებდა დაჯდომას, თითქმის მთელს პიესაში ფეხზედ იდგა. ჯოლოგუა (მატრონას როლში) მორცხვობდა, ისეთი გაბედული და თავისუფალი მქცევი არ იყო, როგორც შეჰფერის მატრონას. ჩემის აზრით, ეს უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ სცენაზე არ არიან შეჩვეულნი: კაჭარავა მეორედ გამოდის სცენაზე, ჯოლოყუა კი პირველად. დარწმუნებულნი ვართ შემდეგისათვის მეტს გამბედაობას გამოიჩენენ. როლები ორივემ მშვენივრად იცოდა. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო „ბატონი და ყმა"-მ. მიუხედავად იმისა, რომ პიესა საჭიროებს კარგ გამოცდილ არტისტებს, სცენის მოყვარეებმა მთლად გადააჭარბეს იმედს და უნაკლულოდ შეასრულეს. ბევრნი, რომლებსაც უნახავთ ტფილისისა და ქუთაისის წარმოდგენა და დაფასებაც შეუძლიანთ, განცვიფრებულები იყვნენ სცენის მოყვარეთა ასეთი კარგი თამაშით. ხალხი მეტად ნასიამოვნები და კმაყოფილი დაიშალა.

დიდი მადლობის ღირსნი არიან სცენის მოყვარენი, რომ მიუხედავად სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზებისა, ერთგულად მოჰკიდებიან და არავითარი შრომა და ძალ-ღონე დაუშურიათ საქმის კარგად მოსაწყობად. არა ნაკლები შრომა მიუძღვის ბარბარე დადიანის ასულს, რომელიც მხურვალე თანამგრძნობია საზოგადო საქმეებისა და განსაკუთრებით კი ქართულ წარმოდგენისა, არავითარ შრომას არ თაკილობს თუნდაც ეს იყოს „წოდების დამამცირებელი", და ამით უფრო დასაფასებელი ეს მუშაკი—ქალი.

სცენის მოყვარენი სულით და გულით მოწადინებულნი არიან მართონ ქართული წარმოდგენები, მაგრამ უფრო ბრკოლდებიან პიესების უქონლობით. ვინაიდან თვით გუდაუთში და ახლო ქალაქებში, სოხუმსა და ფოთში არ მოიპოვება ქართული წიგნის მაღაზიები. დიდის თხოვნით მიჰმართეს ტფილისის დრამატიულ საზოგადოებას დახმარებისათვის. დახმარება კი იმით შესდგება, რომ გამოუგზავნოს შესაფერი პიესები უსასყიდლოდ თუ არა—სასყიდლით. ჯერჯერობით პასუხი არ მიუღიათ თუმცა კი დროა პასუხისა. იმედია დრამატიული საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს და შესაფერ სამსახურს გაუწევს აქაურ სცენის მოყვარეებს.

მოკეთე.

ჩვენი ფოსტა

ზუდ-ოსტროვ-კულტუკი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბერძნიშვილს.

თქვენი წერილები ორი წინანდელი და ერთიც ახლანდელი მივიღეთ. თქვენს „გაკადნიერებულ" გულის წყრომას საბაბი არ ექმნებოდა, რომ გაზეთს სათანადო ყურადღებით თვალს ადევნებდეთ. გიგზავნით ნომერს, სადაც დასტამბულია შემომწირველთა სია. თქვენი წერილის კადნიერ კილოზე კი ჩვენი გულითადი შენდობა მიიღეთ.

გამოსადეგი ცნობა

ტფილისის ბირჟა

18 აგვისტო.

(ნაჩვენებია განაღდების ფასები).

სარგებლიან ქაღალდების ფასები:

4% სახ. რენტა	93¾
5% გირ. ფ. ს.-აზ. სახ. ს.-მამ. ბან.	98⅞
4% „	91
3½% „	84⅞
5% გირ. ფურც. ტფ. სათ.-აზ. ბანკ.	—
4½% „	85¼
5% „ ქუთ. მიწ. თ.-აზ. ბანკ.	—
5% ობლიგაც. ტფ. ქალაქ. საკ. ბაზ.	—
4½% „	—
5% I მომგებ. ბილეთ.	470
5% II „	359
5% III „	320

ტფილისის ბირჟა

სანოვაგისა და ქირნახულის ფასები:

მატყლი თუშური	7 მ. 80 კ. 8 მ.
ბამბა ქუთათური	—
აბრეშ. პარკი ქუთათ. და ადგილ.	15-16 „
ჭიათ. შავი-ქვა (ჩვეულებრივი	—
(გარეცხილი	—
ყველი ქართული	7 მ. 40 კ. 8 მ.
თხილი ზაქათალისა	—
ღვინო კახური	3 მ. 50 კ.
შაქარი (თავიხა	5 მ. 25 კ. 5 მ. 30 კ.
(ფხვიერი	4 მ. 60 კ.
ღრბალი	—
ქერი თეთრი	—
სიმინდი	—

განცხადებანი

ქ. თელავში

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

ჭრა-კერვის

წიგნი

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით.

ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—62)

„სორაპანის" ქართველი მწერლები

— ამხ გამოცემანი —

ნაწილი I, ფასი 80 კ. (ყდით).

შედგენილი ივ. გომელაურის მიერ და ნაწ. II, ფასი 1 მ. 45 კ. (ყდით). შეძ. მიხგანგმ. იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში. წიგნის გამყიდველებს დაეთმობათ ჩვეულებრივ პროც. ამ სახელმძღვანელო წიგნების გამოწერა შეიძლება წ. კ. ს. წიგნის მაღაზიიდანაც, რომელზედაც მაღაზია დაუკლებს იმდენსავე %, რამდენსაც თავის წიგნს უკლებს. ვისაც სურს წიგნის პირდაპირ გამოწერა, უნდა მიმართოს შემდეგ ადრესით: Тифлисъ, типографія «Сорапань».

(10—1450—4)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საკომერციო ცოდნათა კურსები

ტ. მ. ფილოიანისა.

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლ № 24—4, ტელეფონი 976).

სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის.

კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და პიგიერის (პარიზში), მუსტერ-კონტორში. მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება საგნები: ა) სავალდებ: 1. ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2. სტენოგრაფია. 3. და ტიპოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან.

კურსების დამაარსებელი საკომერციო მეცნიერებათა კანდიდატი

ტ. ფილოიანი.

(1—1444—1)

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის. პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. ზ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. აველიხანოვი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

თ. ვ. გეიდენრაიხ-ენგელი: 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. გარცაშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—116)

მუხრანის ხიდთან

სამკურნალო

გაიხსნა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებს.

ბტენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელის 10—11 საათამდე.

ნ. მ. ახპიხოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. აბელიდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეთორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.) თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

კ. ა. გოგნიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიანი—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კალუსტიანცი—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს

გ. ა. მელიქ-მინასოვი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგეობით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—50) 0—103—129)

გამოცდილი **მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც განაგრძელებს მეცადინეობას მოწაფეებთან, ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის პირობებით: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სავაჭრო სასწავლებლისთვის, სატექნიკო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. ყველა კლასისათვის დებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 28, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

(თ.—1084—12)

მშობიარეთათვის

თავშესაფარი

ბებია-ქალის

თუხარელისა.

ოლღას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ

მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—108—738)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

თხ. არჩ. ჯორჯაძისა:	წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო", . . . ფ. 75 კ.
„ „ „	წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა" . . . . ფ. 80 კ.
Bâton-ისა:	„ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით" ფ. 1 მ. 20 კ.
ვ. ყიფიანისა:	„სამეგრელოს მთავარი ლევან", 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 40 კ.
შიუკაშვილისა:	„მეგობრობა", 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ.

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ნ. ვ. აბრაამიანის

საბუღალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი", რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწვ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი** 4 თვისაა ყოველდღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 ენკენისთვიდან. კურსებზე მეცადინეობენ ბუხჰალტერიისა და სხვ. სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, დამოკიდებული ნავთის მრეწველობაზე—ყოველ-ნაირ წესით. დაწვრილებით ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა. კომერც. კორესპონდენცია, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, კალიგრაფია, ხელის გასწორება მსურველთათვის უცხო ენები, სტენოგრა და რემინგტონი.

მასწავლებელნი-სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ საგანში ცალკე მომზადებულნი.

ატესტატები სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება 25 აგვისტოდან, 9 ს.-დან 11 საათამდე, და 5-დან 7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებ-ულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსული ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიმართეთ კურსებისდამარსებელს:

ნიკოლოზის ქუჩა, 22, საკუთარი სახლი, ტელეფონ № 744

(2—1445—2)

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

მაღაზია

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 8, ტელეფონი № 712,

ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

გირ. უდავეხკოთ 25 კაპ.

მიიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა გირვანქა 1 მან. 20 კ.-დე.

(წ—1053—)

1897 1908

ამხ.

პროვოდნიკი

მიხეილის პროსპ. № 97

ტელეფონი № 393

გაიხსნა სახელოსნო ავტომობილების „პოკრიშკების" და კამერების შესაკეთებლად. „ვულკანიზაციის" საშუალებით, საუკეთესო გამოცდილ მანქანებით მოწყობილი.



უოველნაირ ცნობებისთვის მიმართეთ ზემოხსენებულ ადრესით. (3—1462—3)

სტამბა „სორაპანი", მადათოვის კუნძული.
რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.